

იპოვე სახლი

კლასი: 1

თემა: ობიექტთა დაჯგუფება ერთი ნიშნის მიხედვით

მიმართულება: კანონზომიერება და ალგებრა

მიზანი: მოსწავლეებმა განივითარონ ობიექტების რაიმე ნიშნით დაჯგუფებისა და მათ შესახებ არსებული მონაცემების ცხრილის სახით წარმოდგენის უნარი.

ჯგუფის ორგანიზების ფორმა: წყვილები


აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი რომელიმე მოსწავლეს სთხოვს, დაასახელოს ცხოველი, ფრინველი ან სხვა არსება. კლასი ერთობლივად მსჯელობს, სად და როგორ გარემოში ცხოვრობს იგი, თუ აქვს სახლი და რა ჰქვია მას. იმეორებენ იმავეს 3-4 არსებისთვის, რის შემდეგაც მასწავლებელი აჩვენებს ბაყაყის, ძროხისა და ფუტკრის მოდელებს და ეკითხება, რა იციან მათი საბინადრო გარემოს შესახებ.

მასწავლებელი მოსწავლეების წყვილებს ურიგებს ცხრილს (დანართი 1.) და ცხოველების მოდელებს (თითოეული არსების მოდელის რაოდენობა არ აღემატება 5-ს).

დავალებად აძლევს, მოდელები დაალაგონ მეორე სვეტში მათი საცხოვრებელი ადგილის გასწვრივ, დაითვალონ მათი რაოდენობა და ჩაწერონ სტრიქონის ბოლო უჯრაში.

მასწავლებელი მიდის ყოველ წყვილთან და უმოწმებს შესრულებულ დავალებას.



შენიშვნა: მოცემული მოდელები შესაძლოა, ჩანაცვლდეს სხვა არსებების მოდელებით და, შესაბამისად, შეიცვალოს დანართში მოცემული სურათები. ასევე, შესაძლოა, მოდელები ჩავანაცვლოთ ამ არსებების მცირე ზომის ფოტოებით.

დანართი 1.

